ონის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N 01

ქ. ონი 5 აგვისტო 2026 წელი

ონის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიხსნა 2026 წლის 5 აგვისტოს.

სხდომას ესწრებოდნენ:

- დავით ლობჟანიძე - მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე;
- ირმა ჩიხრაძე - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ალექსანდრე ჯაფარიძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დავით ჩიხრაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აუდიტის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარიამი გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ელენე ჩიკვილაძე - სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ბაჩანა მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- პაატა მაისურაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევცრი;
- ალავერდ ხვედელიანი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ყავლაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლევან ორდინიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მელაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვლადიმერ ბერელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დავით მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- ნინო მეტრეველი - სამუშაო ჯგუფის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი;
- სოფიო გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ზაზა ჭელიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა; გასული წლების ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება და მომავალი წლების პრიორიტეტებისა და ზღვრული მოცულობების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ, მოახდინა გასული წლების ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება და აღნიშნა რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია. ისაუბრა 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ფინანსთა სამინისტროდან 2026 წლის 14 ივლისს მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები. ეს დოკუმენტი პირველადი ვარიანტია, ზღვრული მოცულობების განსაზღვრისა და მოწონების შემდეგ განაცხადის ფორმები, ჭერების მითითებით, დაეგზავნება საბიუჯეტო მხარჯავ დაწესებულებებს პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების დასადგენად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაგრძელდება ის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მრავალწლიანი შესყიდვის ფარგლებში მიმდინარეობს, ასევე მოხდება მიმდინარე და გასულ წელს შეძენილი პროექტების განხორციელება. გათვალისწინებული იქნება სოციალური პაკეტით მომსახურების ზრდა, ასევე საჯარო მოსამსახურეების და ა(ა)იპ ორგანიზაციების თანამშრომლების სახელფასო ფონდის გაზრდა.

მუნიციპალიტეტის მერის დავით ლობჟანიძის განცხადებით კვლავ პირველ პრიორიტეტად რჩება ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია, სადაც მოხდება საკრებულო და მერიის სამსახურების განთავსება მათი ეფექტიანი მმართველობისთვის. ხოლო ახლანდელი მერიის შენობაში განთავსდებიან ის ა(ა)იპ ორგანიზაციები, რომლებიც არასასურველ სამუშაო გარემოში იმყოფებიან. მერმა ისაუბრა რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ მძიმე ტექნიკის სიმცირის გამო რთულია ყველა სოფელში მუშაობა. მან ასევე აღნიშნა ჩვენს მიერ დაფუძნებული ორი შპს ორგანიზაციის ა(ა)იპ ორგანიზაციად გადაკეთებასა და ა(ა)იპ ორგანიზაციების გამსხილებაზე, ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბაჩანა მარკოიშვილმა, საკრებულოს თავმჯომარის მოადგილემ ალავერდ ხვედელიანმა და გიორგი მარკოიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ ბერელიძემ ისაუბრეს სოფლებში არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე რაზეც მერმა და მერის მოადგილემ უპასუხეს, რომ აღნიშნული პრობლემური საკითხების მოგვარება მოხდება ეტაპობრივად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელმა ზაზა ჭელიძემ ისაუბრა ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ეფექტიანი მუშაობისათვის საჭიროა დაფინანსების გაზრდა და რეორგანიზაცია. აუცილებელია გვქონდეთ კომუნიკაცია ტურიზმის სააგენტოსთან და მოხდეს მეტი ინფორმაციის გავრცელება ჩვენი კუთხის ტურისტული და საკურორტო ზონების შესახებ. მერის მოადგილემ ლევან შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ ტურიზმის განვითარების წინაპირობა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება რომელსაც მუნიციპალიტეტი აკეთებს. მერმა დავით ლობჟანიძემ აღნიშნა რომ შესაძლებელია სოფელი მრავალძალი გახდეს საკურორტო ზონა ოთხივე სეზონისთვის. ასევე მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია

ჰესების მშენებლობა რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და მუნიციპალიტეტს ჰქონდეს საკმარისი შემოსავალი, ასევე სასვანოს გზის მშენებლობა, რომ ონი გახდეს გამტარი ხაზი სვანეთთან დასაკავშირებლად.

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში განსაზღვრული პრიორიტეტები და ზღვრული მოცულობები მისაღებია. დოკუმენტზე მუშაობა გაგრძელდება, ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული ღონისძიებების გათვალისწინებით, ასევე ეტაპობრივად განხორციელდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

თავმჯდომარე: _____ დავით ლობჟანიძე

თანათავმჯდომარე: _____ ლევან შერაზადიშვილი

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი: _____ თინათინ ბროლაშვილი

მდივანი: _____ ნინო მეტრეველი

სამუშაო ჯგუფის წევრი: _____ ირმა ჩიხრაძე

_____ ვალერიან გობეჯიშვილი

_____ გივი ბენდიანიშვილი

_____ ალექსანდრე ჯაფარიძე

_____ დავით ჩიხრაძე

_____ მარიამი გობეჯიშვილი

_____ სოფიო გუგეშაშვილი

_____ ელენე ჩიკვილაძე

_____ ბაჩანა მარკოიშვილი

_____ პაატა მაისურაძე

_____ ალავერდ ხვედელიანი

_____ გიორგი მარკოიშვილი

_____ მამუკა ყავლაშვილი

_____ ლევან ორდინიძე

_____ გიორგი მელაშვილი

_____ ვლადიმერ ბერელიძე

_____ დავით მეტრეველი

_____ ზაზა ჭელიძე